განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე
„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საკანონმდებლო აქტებთან შესაბამისობაში მოყვანა.
ასევე, აუდიტორული საქმიანობის პროცესში გამოვლენილი საჭიროებების გათვალსიწინებით კონკრეტული საკითხების დაზუსტება/დაკონკრეტება. ამასთან, ტექნიკური ხარვეზების გასწორება.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონი მიღების აუცილებლობა:

კანონპროექტის მიღებით უზრუნველყოფილი იქნება საკანონმდებლო რეგულაციების დახვეწა, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას აუდიტის მიმართულებით.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში სათანადოდ მოწესრიგდება „ა.ა.ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული საკითხი.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

- წარმოდგენილი კანონპროექტით ახლებურად ჩამოყალიბდა „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის „ვ.გ“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტები და დაზუსტდა, რომ ფინანსური, შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტი განხორციელდება აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობის ფარგლებშიც.
  ამავე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, კერძოდ დაკონკრეტდა აუდიტის ობიექტის განმარტება, რომლის მიხედვითაც აუდიტის ობიექტი არის პირი, ორგანო, ორგანიზაცია ან/და დაწესებულება, რომელზეც ვრცელდება მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული უფლებამოსილება.
  ასევე, ტერმინთა განმარტებაში დაემატა იმ პირთა წრის განსაზღვრება, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეებს.

ამავე მუხლს ასევე დაემატა საჯარო ურთიერთობების მდივნის განმარტება. აღნიშნულის საჭიროება გამომდინარეობს ამავე კანონპროექტიდან, რამდენადაც გენერალური აუდიტორის ერთ-ერთ უფლებამოსილებად განისაზღვრა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურისათვის საჯარო ურთიერთობების მდივნის ფუნქციის დაკისრება.

- წარმოდგენილ კანონპროექტში „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები დაზუსტდა და შესაბამისობაში მოვიდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებასთან. ასევე დაზუსტდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის პრინციპები.

  ასევე განისაზღვრა, რომ თუ „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორულ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საქმიანობებზე არ ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (გარდა ამ კოდექსის III თავისა - ინფორმაციის თავისუფლება).

- წარმოდგენილი კანონპროექტით „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის ცვლილებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურს თავისი საქმიანობის განხორციელების პროცესში შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ენიჭება ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე წვდომის უფლებამოსილება. სათანადო ინფორმაციის დროული მოპოვება/გამოთხოვა ხელს შეუწყობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს იმ ფუნქციების შესასრულებლად, რომელიც საჭიროა შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. შემოთავაზებული ცვლილებით უზრუნველყოფილი იქნება სამსახურის მიერ მასზე დაკისრებული ფუნქციების ეფექტური და სწრაფი განხორციელება.

- წარმოდგენილი კანონპროექტით ტექნიკურად დაკორექტირდა „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი, ვინაიდან, აჭარის და აფხაზეთის აუდიტის დეპარტამენტები წარმოადგენენ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ისეთივე სტრუქტურულ ერთეულებს, როგორც სამსახურის სხვა დეპარტამენტები და მათი ცალკე მითითების საჭიროება არ არსებობს. ასევე, შემოთავაზებული რედაქციით დაკონკრეტდა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სისტემის შემადგენლობაში შედის სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი.

- წარმოდგენილი კანონპროექტით, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლით განსაზღვრული გენერალური აუდიტორის უფლებამოსილებები თემატურად დაჯგუფდა და რედაქციულად დაკორექტირდა. ასევე, ტექნიკურად დაზუსტდა სხვა უფლებამოსილებები, კერძოდ აღნიშნულ მუხლს დაემატა გენერალური აუდიტორის საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლებამოსილება, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით. ასევე, გენერალური აუდიტორის ერთ-ერთ უფლებამოსილებად განისაზღვრა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურისათვის საჯარო ურთიერთობების მდივნის ფუნქციის დაკისრება. ამასთან, ამავე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნა, ვინაიდან აჭარის და აფხაზეთის აუდიტის დეპარტამენტები წარმოადგენენ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ისეთივე სტრუქტურულ ერთეულებს, როგორც სამსახურის სხვა დეპარტამენტები და შესაბამისად, ავტონომიურ რესპუბლიკაში სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის კანდიდატურის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმების აუცილებლობა არ არსებობს.
  გარდა ამისა, ამავე მუხლს ტექნიკურად დაემატა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული რეკომენდაციის გაცემის უფლებამოსილება.

- წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლით დაზუსტდა პრეზიდიუმის უფლებამოსილება.

- წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, განხორციელდა ცვლილება „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლში. კერძოდ, დაკონკრეტდა:
  - სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან/და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახსრებისა და ქონების ხარჯვისა და გამოყენების აუდიტის უფლებამოსილება, ასევე, იმ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის აუდიტის უფლებამოსილება, რომელიც „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოადგენენ საქართველოს ეროვნულ ფედერაციას;
  - იმ კერძო სამართლის იურიდიული პირის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აუდიტი, სადაც სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკა, მუნიციპალიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ასევე სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან/და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო

(არაკომერციული) იურიდიული პირი ფლობს წილის/აქციების 50 პროცენტს და 50 პროცენტზე მეტს;

ასევე, ზემოაღნიშნული კერძო სამართლის სუბიექტების მიერ 50 პროცენტი და 50 პროცენტზე მეტი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული სხვა კერძო სამართლის სუბიექტების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აუდიტს;

- ასევე, საქართველოს პროკურატურის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და დაზვერვის სააგენტოს საქმიანობის მარეგულირებელ სპეციალურ კანონებში არსებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული უფლებამოსილება რედაქციულად ინტეგრირდა ამ მუხლში.
- ასევე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული უფლებამოსილება გავრცელდება ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებზე და მისი აუდიტი განხორციელდება მხოლოდ ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯების ნაწილზე.

- წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის ამოღება განაპირობა შემოთავაზებული კანონპროექტით გათვალისწინებულმა ცვლილებამ, კერძოდ ორგანული კანონის მე-5 მუხლში დამატებულმა მე-4 პუნქტის რედაქციამ, რომლის თანახმად სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობა, რომელიც აუდიტის განხორციელებას უკავშირდება, არ ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება, გარდა ამ კოდექსის III თავის.

- წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, განხორციელდა ცვლილება „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლში. კერძოდ, აუდიტის განმახორციელებელ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურის უფლებამოსილებად განისაზღვრა:

  - დაამუშაოს მონაცემთა ელექტრონული ბაზებიდან მოპოვებული ინფორმაცია;
  - გამოითხოვოს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ინფორმაცია უშუალოდ პრეტენდენტისგან, მიმწოდებლისგან და ქვეკონტრაქტორისგან.
  - კომერციული ბანკებიდან გამოითხოვოს ინფორმაცია მოსამართლის ბრძანების საფუძველზე.

ამასთან, წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებული ამავე მუხლის მე-4 პუნქტის ამოღება განპირობებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული საქმიანობის ეფექტურად, შეუფერხებლად და დროულად განახორციელების უზრუნველსაყოფად.

ამავე მუხლის მე-5 პუნქტის ახლებურად ჩამოყალიბება, კერძოდ აუდიტის ჩატარების ფარგლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურის კანონიერი მოთხოვნის შესრულების სავალდებულოობის არეალის გაფართოება განპირობებულია იმით, რომ წინამდებარე კანონპროექტით აუდიტის განმახორციელებლ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეს, აუდიტის ჩატარების ფარგლებში მიენიჭა ინფორმაციის გამოთხოვის უფლებამოსილება, მათ შორის, პრეტენდენტისგან, მიმწოდებლისგან და ქვეკონტრაქტორისგან.

ამასთან, დაზუსტდა ამავე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული აუდიტის განმახორციელებელი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეების ვალდებულებები.

- „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედი რედაქცია შეიცავდა ტექნიკურ უზუსტობას. კერძოდ, მითითებული იყო მე-20 მუხლის 3^1 პუნქტი, რომელიც მოქმედი რედაქციით არ არსებობს. ასევე, განისაზღვრა, რომ აუდიტის პროცესში მოწვეულ სპეციალისტს და ექსპერტს არ ექნებათ წვდომა ადმინისტრაციული ორგანოების მონაცემთა ელექტრონულ ბაზებზე.

- ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს აუდიტის ობიექტის მოთხოვნის შედეგად ინფორმაციის წარმოდგენის ვადის გაგრძელების შესაძლებლობას. წარმოდგენილი პროექტით სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ენიჭება უფლება აუდიტის ობიექტის გარდა სხვა პირებისგანაც გამოითხოვოს ინფორმაცია. შესაბამისად, აუდიტის ობიექტის გარდა სხვა პირებსაც შეეძლებათ ისარგებლონ ინფორმაციის წარმოდგენაზე ვადის გაგრძელების უფლებით.

- შემოთავაზებული კანონპროექტით დაზუსტდა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული უფლებამოსილება ხორციელდება აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაზეც. შესაბამისად, 24-ე მუხლში განისაზღვრა, რომ მიმდინარე აუდიტის (რეალურ დროში აუდიტი) შედეგად აუდიტის ობიექტს ეცნობება გამოვლენილი ნაკლოვანების შესახებ.

- კანონპროექტში მითითებული ორგანული კანონის 24^1 მუხლი დაკორექტირდა ტერმინოლოგიური თვალსაზრისით.

- „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის არსებული რედაქცია ითვალისწინებდა მხოლოდ აუდიტის ობიექტისგან მოპოვებული საიდუმლო ინფორმაციის გაუმჟღავნებლობას. იმის გათვალისწინებით,

რომ წარმოდგენილი კანონპროექტით სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ეძლევა შესაძლებლობა გარდა აუდიტის ობიექტისა, სხვა სუბიექტებისგანაც გამოითხოვოს ინფორმაცია, შესაბამისად სამსახურს წარმოეშვა ვალდებულება არ გაამჟღავნოს ასეთი სუბიექტებისგან მიღებული საიდუმლო ინფორმაცია.

- „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26^1 მუხლის რედაქტირება, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობაში ჩარევის ან მისი საქმიანობისათვის ხელის შეშლის ნაწილში, გამოწვეულია სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებით, ვინაიდან აღნიშნული ქმედება იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

  ამასთან, ამ მუხლის მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული ჯარიმა ნაცვლად 1000 ლარისა, განისაზღვრა 5000 ლარით.

- ორგანული კანონის 26^2 მუხლის მე-2 პუნქტი დაკორექტირდა ტერმინოლოგიური თვალსაზრისით.

- კანონპროექტში მითითებული „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის თანახმად, იმ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, რომელშიც სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკა ან/და მუნიციპალიტეტი ფლობს წილის/აქციების 50 პროცენტს და 50 პროცენტზე მეტს აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი განესაზღვრათ ადმინისტრაციული ორგანოების მსგავსად.

- კანონპროექტით „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლი რედაქციულად დაკორექტირდა, რომ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების საკითხები განისაზღვრება გენერალური აუდიტორის სამართლებრივი აქტით.

- „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოქმედ რედაქციაში საერთაშორისო ურთიერთობები გაერთიანებული იყო პარლამენტთან ურთიერთობის თავში (VII თავი), კანონპროექტით კი საერთაშორისო ურთიერთობა გაიწერა ცალკე თავად (VII^1 თავი) და რედაქციულად დაკორექტირდა.

- „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლი შესაბამისობაში მოვიდა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მოქმედ რედაქციასთან.

- „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლი შესაბამისობაში მოვიდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედ რედაქციასთან.

- „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32^2 მუხლი შესაბამისობაში მოვიდა „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედ რედაქციასთან.

- კანონპროექტის თანახმად, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტი შესაბამისობაში მოვიდა ამავე მუხლის პირველ პუნქტთან. კერძოდ, მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა სამსახურის ყველა მოსამსახურეს.
  ამავე მუხლში არსებული ტერმინი - „თანამშრომელი“ შეიცვალა ტერმინით - „მოსამსახურე“.

- წარმოდგენილი კანონპროეტით გათვალსიწინებულმა ცვლილებამ (ორგანული კანონის მე-2 მუხლის „ვ.გ“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტები), რომელიც გულისხმობს ფინანსური, შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტის განხორციელებას აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობის ფარგლებში, განაპირობა „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის დაზუსტება.

- „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის ტერმინოლოგია შესაბამისობაში მოვიდა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონთან.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტი საქართველოს მთავრობის მიერ არ არის ინიციირებული.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:
კანონპროექტი ითვალისწინებს კანონის ძირითადი ნორმების ამოქმედებას გამოქვეყნებისთანავე, ხოლო მისი ცალკეული ნორმა ძალაში შევა 2030 წლის 1 იანვრიდან, რადგან, კანონპროექტის მიზნიდან და არსიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი

ამოქმედების ამგვარი ვადების დადგენა. კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტი საჭიროებს დაჩქარებული წესით განხილვას, რადგან პროექტით წარმოდგენილი ინიციატივები მიზანშეწონილია დარეგულირდეს დროის მოკლე მონაკვეთში. კერძოდ, წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილებას გააჩნდეს წვდომა ადმინისტრაციული ორგანოების ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე, აგრეთვე სახელმწიფო აუდიტის სამსახური აუდიტს განახორციელებს აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაზე. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს აღნიშნული ფუნქციების განსახორციელბლად საჭირო სახსრებს, შექმნილია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები და გათვალისწინებულია საშტატო რიცხოვნობა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დაფინანსების საჭიროებას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიხედვით, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26[1] მუხლის პირველი პუნქტის მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული ჯარიმა ნაცვლად 1000 ლარისა, განისაზღვრა 5000 ლარით. აღნიშნულმა საკანონმდებლო ცვლილებამ შესაძლოა სათანადო გავლენა მოახდინოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე გაზრდის მიმართულებით, რაც დამოკიდებულია პირთა დაჯარიმების ფაქტების რაოდენობაზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

კანონპროექტით წარმოდგენილი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის ცვლილება, გარდა „პ“ ქვეპუნქტისა, წარმოადგენს რედაქციულ ცვლილებას, არის უფრო სტრუქტურირებული, უფლებამოსილება არის უფრო განჭვრეტადი და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის ობიექტები აუდიტორული

პრაქტიკის გათვალისწინებით არის უფრო ნათლად წარმოდგენილი. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილება არ გამოიწვევს დამატებითი სტრუქტურული ერთეულების შექმნის საჭიროებას და კადრების რაოდენობის გაზრდას. აქედან გამომდინარე, არსებული ადამიანური და ინტელექტუალური რესურსით განხორციელდება აღნიშული უფლებამოსილებები.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაოანსაგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

წარმოდგენილი კანონპროექტიდან აჭარის და აფხაზეთის სტრუქტურულ ერთეულებზე მითითებული ცლილება გავლენას არ ახდენს ზემოაღნიშნულ პოზიციებზე დასაქმებულ პირებზე და შესაბამისად არ იწვევს უკვე დანიშნული პირების ხელახლა გადანიშვნას და არც თანამდებობიდან გათავისუფლებას.

კანონპროექტის მიხედვით, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26[1] მუხლის პირველი პუნქტის მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული ჯარიმა ნაცვლად 1000 ლარისა, განისაზღვრა 5000 ლარით. ამ საკანონმდებლო ცვლილებამ შესაძლოა სათანადო ფინანსური გავლენა მოახდინოს იმ პირებზე, რომელთა მიმართაც გავრცელდება მისი მოქმედება.

კანონპროექტის თანახმად, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის მიხედვით, იმ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, რომელშიც სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკა ან/და მუნიციპალიტეტი ფლობს წილის/აქციების 50 პროცენტს და 50 პროცენტზე მეტს „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს მოქმედი ორგანული კანონის თანახმად აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების შესაძლებლობა ჰქონდათ როგორც უშუალოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში, ასევე სასამართლოში.

კანონპროექტის ცვლილების თანახმად, მითითებულ პირებს აუდიტის ანგარიშის გასაჩივრება შეეძლებათ მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში. შესაბამისად, მათ აღარ ექნებათ სასამართლოში სამართალწარმოებასთან დაკავშრებული ხარჯები, მაგალითად სახელმწიფო ბაჟი და სხვა.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის ან მოსაკრებლის დადგენას. კანონპროექტი ითვალისწინებს აუდიტის ფარგლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის აუცილებელი ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის მიწოდებისათვის თავის არიდების ან/და მცდარი ინფორმაციის წარდგენისათვის გათვალისწინებული ჯარიმის 1000 ლარისა 5000 ლარით განსაზღვრავს. ფულადი სანქციის ოდენობის გაზრდისას გათვალისწინებული იყო ქმედების ხასიათი და მისგან გამომდინარე შედეგი, რომელიც აფერხებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული უფლებამოსილების ეფქტიანად განხორციელებას. ახალი ოდენობა თანაზომადია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სხვა უფლებამოსილებების ნაწილში გათვალისიწინებული სამართალდარღვევებისათვის დადგენილ სანქციებთან.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. კანონპროექტის მომზადება არ არის დაკავშირებული ასეთ ხელშეკრულებასთან/შეთანხმებასთან.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:
დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/ დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი: საქართველოს პარლამენტის წევრები: პაატა კვიჟინაძე, ირაკლი ხელაძე, ლევან მაჭავარიანი, გიორგი ბარვენაშვილი, ზურაბ რურუა.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი: საქართველოს პარლამენტის წევრები: პაატა კვიჟინაძე, ირაკლი ხელაძე, ლევან მაჭავარიანი, გიორგი ბარვენაშვილი, ზურაბ რურუა.